ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის კონსტანტინე ზარნაძის

2021-2022 წლის ანგარიში

- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 15 საკრებულოს სხდომა, მათგან დავესწარი უკლებლივ ყველას, მივიღეთ 649 განკარგულება და 113 დადგენილება.

  VII მოწვევის საკრებულოს მუშაობის დაწყებიდან დღემდე ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის 15 სხდომას დავესწარი, სადაც განვიხილეთ 277 საკითხი.
  კომისიის სხდომებზე, საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განვიხილეთ და დავამტკიცეთ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტების და განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული გეგმების პროექტები. ასევე, კომისიის სხდომებზე, საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად, შევისწავლეთ და განვიხილეთ გენ-გეგმაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის ცვლილებები.

სარევიზიო კომისიის მუშაობის ფარგლებში დავესწარი 14 კომისიის სხდომას, რომლებზეც განვიხილეთ 45 საკითხი;

- საქმიანობის დაწყებიდან დღემდე, არ შემიწყვიტავს მოქალაქეებთან კომუნიკაცია, ინტენსიურად - კვირაში ორჯერ ვატარებ მოქალაქეთა მიღებას, ინდივიდუალურად შევხვდი 2000-ზე მეტ მოქალაქეს. ამა თუ იმ უწყებაში ვუშუამდგომლე 1000-ზე მეტ მოქალაქეს. გარდა ამისა, აქტიურად ვახორციელებ მოსახლეობასთან გასვლით, სამუშაო შეხვედრებს, ადგილზე შევისწავლი პრობლემებს და ვმუშაობ მათი აღმოფხვრის გზებზე.

- გლდანის რაიონის გამგეობის და დედაქალაქის მერიის ჩართულობით გლდანის რაიონში უზარმაზარი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა.

  ინფრასტრუქტურის განვიტარების მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

  - გზა კაპიტალურად შეკეთდა - 16 მისამართზე;
  - გზის ფრაგმეტული შეკეთების სამუშაოები ჩატარდა - 61 მისამართზე;
  - საკანალიზაციო ქსელი მოეწყო 7 მისამართზე
  - სანიაღვრე ქსელი მოეწყო 9 მისამართზე;
  - მოიხრეშა - 5 ქუჩა;

  დედასქალაქის მერიის მიერ გლდანის რაიონში განხორციელდა კეთილმოწყობის სამუშაოები:

  - რეაბილიტირდა ლიბანის სკვერი;
  - მიმდინარეობს დავით სარაჯიშვილის სკვერის სარებილიტაციო სამუშაოები;
  - მიმდიანრეობს სარაჯიშვილი-ლიბანის ბულვარის მოწყობა.

რაიონულმა გამგეობამ რაიონში მოაწყო 7 სკვერი სკვერი და 4 მცირე სკვერი;

თითოეული სკვერში მოეწყო ბავშვთა გასართობი და მოსასვენებელი სივრცეები, ფიტნეს ზონა, მოსასვენებელი პავილიონები, ჩატარდა გამწწვანების სამუშაოები, მოწყო სარწყავი სისტემა და გარე-განათების ქსელი.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რაიონულმა გამგეობამ საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი სამუშაოები:

- სახურავის შესაკეთებელი სამუშაოები ჩატარდა 56 მისამართზე;
- ლიფტის რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა 20 მისამართზე;
- შიდა კომუნიკაციების მოწესრიგების სამუშაოები - 23 მისამართზე;
- საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურის სამუშაოები - 24 მისამართზე;
- სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია - 9 მისამართზე;
- ჯამში, საანგარიშო პერიოდში 3 200 000 ლარზე მეტი დაიხარჯა გლდანის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის სამუშაოების შესასრულებლად.

გლდანის რაიონის გამგეობამ სოციალური მიმართულების პროგრამის ფარგლებში - სამედიცინო მომსახურება დაუფინანსდა 7900-ზე მეტ მოქალაქეს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 2580 მოქალაქეს. უფასო სასადილოს მომსახურებით ისარგებლა 7242 ბენეფიციარმა, 250 ოჯახი უზრუნველყო გამგეობამ შეშით და ქირის საფასური დაუფინანსდა 79 ოჯახს. ჯამში სოციალური მიმარტულებით რაიონული გამგეობის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 5 800 000 ლარზე მეტი.

გლდანის გამგეობის პროგრამით ჩატარადა 2 კულტურულ-გასართობი ღონისძიება და 2 სპორტული ღონისძიება მინი ფეხბურთსა და ქუჩის კალათბურთში);

თბილისის მერიის და საკრებულოს ინიციატივით ჩატარდა კინოჩვენება „კინო ყველგან“;